საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 003731

03 მაისი 2022 წ. ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომითი უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი შრომის ინსპექტორი [redacted]

სახელი, გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „თბილისის სერნესმენტი ჯგუფი" ს/ნ 202886788

ი/მის: ქ. თბილისი ვაჟის მოედანი №2

შეზღუდული ოფიციალურ მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №ალალი კორპუსის მიმდებარე

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/ რეგისტრაციის მიხედვით; იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/ რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/ დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

2022 წლის 13 ა. 14 აპრილს ვინსპექტირდა შპს „თბილისის სერნესმენტი ჯგუფი" (ს/ნ 202886788) „საბურთალოს" „ალექსიძე-ბუკია" ეზის შენობაზე - ინსპექტორმა „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქმიანობა, სადაც დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს:

1) მ-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი

2) 24-ე მუხლის მ-11 პუნქტი

5. დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 77-ე მუხლის პირველი ნაწილით

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 30(ოცდაათი) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted]

11. სამართალდამრღვევი [redacted] 03.05.2022.

სახელი და გვარი ხელმოწერა

12. მოწმე: _______________ / _______________ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _______________ / _______________ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: 2022 წლის 3 მაისის №003731/ო მითითება.

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: გაეცნო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოვალეობებს.

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შრომის ინსპექციის სამსახური."

დამამზადებელი: შპს კაბადონი+

სემეკ-ს რეგისტრაციის № 11-5748

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენელის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის **ან/და** საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება ჩაბარებულად ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge) ან/და სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

მ ი თ ი თ ე ბ ა № 003731/ო

03 მაისი, 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 75-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ,,შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, შრომით ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის (შემდგომში - ,,შრომის ინსპექცია") შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted] და უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [redacted] მიერ 2022 წლის 13 და 14 აპრილს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია";
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788;
გენერალური დირექტორი: გიორგი შარკოვი;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
შემოწმებული ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია;
ეროვნული კლასიფიკატორი: საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი 49.31.0

დასაქმებული ქალი - 2
დასაქმებული მამაკაცი - 17
დასაქმებული ორსული - 0
დასაქმებული შშმ პირი - 0
დასაქმებული არასრულწლოვანი - 0

ინსპექტირების პროცესი ეფუძნებოდა „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლებით დადგენილი წესების დაცვას, რა დროსაც შემოწმებულ იქნა სამუშაო

სივრცე, გამოკითხულ იქნენ დასაქმებული პირები და გამოთხოვილი იქნა შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის, შრომით ნორმებთან ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა:

N	გაცემული მითითება
1	**დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი** დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებები სრულყოფილად არ მოიცავს ინფორმაციას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესის თაობაზე. კერძოდ, არ არის მითითებული ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის გაფრთხილების ვალდებულების, ასევე დასაქმებულისათვის კომპენსაციის გაცემის საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას და აღნიშნული ინფორმაციის სრულყოფილად ასახვა შრომით ხელშეკრულებაში სავალდებულოა. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 47-ე და 48-ე მუხლებით. კერძოდ, 47-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო კონკრეტულ წესს და პროცედურებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის ადგენს 48-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ცალკეული საფუძვლების არსებობისას, დამსაქმებლის ვალდებულება დასაქმებულის წინასწარი გაფრთხილების თაობაზე, ასევე აღნიშნული მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას კომპენსაციის მიღების კუთხით. კერძოდ, დასაქმებულის წინასწარი გაფრთხილების და კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადგენილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგი საფუძვლები: „ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა;

	ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული – ხანგრძლივი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული შვებულება; ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას." ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებული არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. ამასთან, დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულის გაფრთხილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოახდინოს არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია შრომით ხელშეკრულებებში სრულყოფილად ასახოს ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. კერძოდ, მნიშვნელოვანია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულს განემარტოს რა შემთხვევაში/როგორი ვადების ფარგლებში არის ვალდებული დამსაქმებელი, წინასწარ გააფრთხილოს დასაქმებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია შრომით ხელშეკრულებაში ზუსტად იყოს განმარტებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას კომპენსაციის გაცემის/მისი ოდენობის საკითხი.**
2	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი** დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არ იწარმოება კანონით დადგენილი წესით, კერძოდ: საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო. 2021 წლის 12 თებერვალს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-15/ნ ბრძანებით დამტკიცდა ,,სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა და მისი წარმოების წესი". ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით დადგენილი

	სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა **უნდა მოიცავდეს არანაკლებ ამ წესით განსაზღვრულ მონაცემებს,** თუმცა დამსაქმებელი უფლებამოსილია, მიუთითოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან აღრიცხოს სამუშაო დრო ნებისმიერი სხვა ფორმით ამ წესით დადგენილი მინიმალური მონაცემების გათვალისწინებით. წარმოდგენილი სამუშო დროის აღრიცხვის ფორმა არ შეიცავს ისეთ მონაცმებს როგორიცაა: *პასუხისმგებელი პირის მიერ სამუშო დროის აღრიცხვის ფორმის შედგენის თარიღს; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული უნიკალური და საიდენტიფიკაციო ნომერი; დასაქმებულის პირად ნომერს ან ტაბელის ნომერს; თვის განმავლობაში ნამუშევარ დღეთა ჯამს; თვის განმავლობაში დროებით შრომისუუნარობის პერიოდის დღეთა ჯამურ რაოდენობას; თვის განმავლობაში; თვის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდი; ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დღეტა ჯამური რაოდენობა, მათ შორის ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულების პერიოდი; თვის განმავლობაში სხვა მოცდენილი დღეების ჯამური რაოდენობა; თვის განმავლობაში დასვენების, უქმე დღეების ჯამური რაოდენობა.* ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი ყველა დამსაქმებელს ავალდებულებს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და ნამუშევარი საათების აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია). **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოება, სათანადო წესით შეიტანოს ყველა მონაცემი და უზრუნველყოს მისი დასაქმებულებისთვის გაცნობა.** *საფუძველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ გრძანება.*

<u>მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.</u>

საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაცვის შემოწმების განმახორციელებელი შრომის ინსპექცია, გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევ(ებ)ს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტში აღინიშნება ორგანიზაციის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

[redacted]

ახსნა-განმარტება მითითებასთან დაკავშირებით:

სამართალდამრღვევი პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილი პირ(ები)ის ხელმოწერა:

[redacted]

სამართალდამრღვევის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა:

[redacted] მიღებული პირი 03.05.2022